„კორონაეკონომიკის“ იტალიური გაკვეთილები და საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შეფასება ინფორმაციული, ფიზიკური და ბიო-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით

ლორთქიფანიძე რ., ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველო, თბილისი, შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
revazlordkipanidze@gmail.com

შესავალი

ინფორმაციული, ფიზიკური და ბიო-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებამ, მათ შორის „მოკლე ჩართვის“ ფაქტორმა ეკონომიკური კონკურენციის შეფასებაში დაადასტურა ჩვენი ადრინდელი კვლევების შედეგები, რომ ბაზარი არ უნდა იყოს მიდრეკილი ეგრეთ წოდებული „ჭიანჭველების გადაჭარბებული რაოდენობის აგრესიული გადაადგილებისკენ“, რაც, სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმის კომბინირებული ძალისხმევით, საჭიროებს ზომიერ შეზღუდვას, ინფლაციის შეკავებასა და მტაცებლური დემპინგური ფასებით ოპერირებადი კრიმინალური მონოპოლიების მუდმივ მონიტორინგს.

ძირითადი ტექსტი

მოთხოვნადი მეცნიერული ინფორმაციის მწვავე დეფიციტის ეპოქაში, მნიშვნელოვანწილად გარკვეულ, მაგრამ მწირ ინფორმაციაზე უარესი, ჭარბი ინფორმაცია აღმოჩნდა, ვინაიდან, ის დროის ძალიან დიდ ფუჭ დანაკარგებს იწვევს, რაც ყოვლად დაუშვებელია მედიცინაში. ინფორმაციის გაზომვის ენტროპიულ-მათემატიკური მეთოდი ადასტურებს, რომ ჩვენ შესაძლოდ თანაბარძალოვნად ყოვლისმომცველი ინფორმაცია გვჭირდება. ენტროპიული მეთოდით ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფილებაც შეიძლება გავზომოთ და ამ მეთოდზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ერთი შეხედვით „რთული“ - ხარჯტევადი და დროში გაწელილი მეცნიერებატევადი დარგების (მ.შ. პრიორიტეტულად ჯანდაცვა) იგნორირება არათუ სახიფათოა, დამღუპველიც არის. მარტივი დარგები ხშირად სწრაფ შემოსავალს გვაძლევს, მაგრამ ისინი სადესერტე ნუგბარს შეიძლება შევადაროთ და მხოლოდ შაქრიანი საკვების მიღება, მოგეხსენებათ, ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა მრავალფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ იტალიაში კორონავირუსის გამწვავებების კრიტიკული დონის მთავარ მიზეზებად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1) ვირუსისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ტენიანი და ზომიერად თბილი კლიმატი ქვეყანასა და მიმდებარე რეგიონებში;

2) ტურისტული ნაკადების მაღალი ინტენსიობა;

3) იტალიელების მაღალტემპარამენტიანი სტუმართმოყვარე ბუნება და ზოგჯერ გადაჭარბებულად ემოციური ფსიქოტიპი;

4) უნიკალური სიძველის არქიტექტურული შედევრების სიმრავლე, რომლის მოვლა დიდ ძალისხმევას საჭიროებს (მ.შ. აუცილებელი ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა);

5) მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალების გადაკვეთა;

6) ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების შედარებით დაბალი ფასები, რამაც მიგრანტების განსაკუთრებული მოზღვავება გამოიწვია;

ქართული ჯანდაცვისთვის სასიცოცხლოდ აქტუალურია, რომ, უახლოეს პერიოდში, მთავარი აქცენტები საქართველოსთვის არგუმენტირებულად განსაზღვრულ პრიორიტეტებზე უნდა გაკეთდეს და, უპირველესად, საუკეთესო კლასის განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა გვჭირდება, მხოლოდ შემდეგ ამოქმედდება სათანადო მრეწველობა.

ჩვენს სოფელსაც სჭირდება მეცნიერება, რომ ქართულ სამედიცინო ობიექტებზე კვება საიმედო და კონკურენტუნარიანი იყოს. სამწუხაროდ, მეცნიერება, ხშირ შემთხვევაში, დოტაციურია და მოგებას არ იძლევა, მაგრამ სახელმწიფო სწორედ აქ უნდა იყოს ყველაზე მეტად მიზანმიმართული და მზრუნველი, ბაზართან ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმებით.

,,კორონაეკონომიკის“ ექსტრემალურმა პირობებმა თვალსაჩინო გახადა, რომ მედიცინასთან ერთად, მეცნიერებატევადი დარგებიდან განსაკუთრებით უნდა დაწინაურდეს დივერსიფიცირებული ენერგეტიკა, სამშენებლო ინდუსტრია, კომპიუტერული რობოტომანქანები და ქიმიური კომპლექსი.

დასკვნა

კრიზისისშემდგომ საქართველოში მინიმუმ 11 ინდუსტრიული მომსახურების (მ.შ. სამედიცინო ტექნიკისა და დისტანციური ჯანდაცვითი პროფილაქტიკის) იმპორტშემცვლელი „სასათბურე“ ზონა უნდა მოვიაზროთ და მოვაწყოთ - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია, გურჯაანი, gori, ზუგდიდი და ოზურგეთი.

საპარლამენტო ცენტრად ქუთაისის ფორმალურმა გამოცხადებამ, ბუნებრივია, შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ, სწორედ ამ ინდუსტრიულ ცენტრში ჭკვიანი მანქანების წარმოების ორგანიზება კონვეირულად გამოიწვევს რუსთავის მძლავრ ისტორიულ ინდუსტრიებზე მზარდი მოთხოვნის გაჩენასაც. გურჯაანი ფლაგმანი იქნება მევენახეობა-მეღვინეობაში, ბათუმი - თევზის პროდუქტებისა და ციტრუსოვანთა ხილფაფების წარმოებში, ზუგდიდი - თხილში, ოზურგეთი - მეჩაიეობაში, გორი - მეხილეობასა და ხილის გადამუშავების მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოებაში, თბილის-რუსთავისა და ზესტაფონ-ჭიათურა-სამტრედიის აგლომერაციები კი - მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში.

ეს ყოველივე, ყველაზე მეტად მეცნიერებატევადი - საყოველთაოდ აღიარებული ჩვენი მედიცინისა და უნიკალური კულტურის ტრადიციული დარგების განვითარების პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. სწორედ ეტაპობრივად და საყოველთაო ინსტიტუციონალური ჩართულობით გათვლილი და ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური სტრატეგია შეიძლება იყოს ჩვენი ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტი.

გამოყენებული წყაროები:

1. https://geomedi.edu.ge/

2. https://www.moh.gov.ge/

3.https://www.geostat.ge/ka

4, https://www.researchgate.net/profile/Revaz_Lordkipanidze

Italian Lessons of "Coronaeconomics" and Assessing for Economic Priorities of Georgia Using Informational, Physical and Bio-Psychological Methods

Revaz Lordkiapnidze

Summary

According to our multivariate analysis, the following factors are noted as the main reasons for the critically highest incidence of coronavirus in Italy:

1) A moist and warm climate favorable to viruses;
2) The high intensity of the tourist flows in this wonderful country;
3) The temperamental psychology of this overly hospitable people;
4) The unique old architecture of many buildings, the care of which requires a lot of effort (the support of the international community is needed);
5) Crossroads of the most important world transport highways;
6) Relatively low prices for quality goods and services, which causes an influx of migrants.

Using informational, physical and bio-psychological methods, including the "short circuit" factor in calculating economic competition confirmed our past researches, that the market should not prone to the so-called "the aggressive movement of excessively numerous ants," which undoubtedly needs to be restrained by all the efforts of economic mechanisms, containment of inflation and monitoring against dumping prices of predatory criminal economic monopolies.

Key words: world transport highways, relatively low prices, economic mechanis.

Итальянские уроки "Коронаэкономики" и оценка экономических приоритетов Грузии с использованием информационных, физических и биопсихологических методов

Реваз Лорткипанидзе

Резюме

Согласно нашему многофакторному анализу, в качестве основных причин критически высокой заболеваемости коронавирусом в Италии, отмечены следующие факторы:

1) влажный и теплый климат, благоприятный для вирусов;
2) высокая интенсивность туристических потоков в этой замечательной стране;
3) темпераментная психология этого чрезмерно гостеприимного народа;
4) уникальная древняя архитектура многих зданий, уход за которыми требует больших усилий (необходима поддержка международного сообщества);
5) перекресток важнейших мировых транспортных магистралей;
6) относительно низкие цены на качественные товары и услуги, что вызывает приток мигрантов.

Использование информационных, физических и биопсихологических методов, включая фактор «короткого замыкания» в расчете экономической конкуренции, подтвердило наши прошлые исследования, что рынок не должен быть подвержен так называемому «агрессивному движению чрезмерно многочисленных муравьев», которое, несомненно, нуждается в сдерживании всеми усилиями экономических механизмов, нормализации инфляции и мониторинга против демпинга цен хищническо преступных экономических монополий.

Ключевые слова: мировые транспортные магистрали, относительно низкие цены, экономические механизмы.

„კორონაეკონომიკის“ იტალიური გაკვეთილები და საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შეფასება ინფორმაციული, ფიზიკური და ბიო-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით

რევაზ ლორთქიფანიძე

რეზიუმე

ჩვენი მრავალფაქტორული ანალიზის თანახმად, იტალიაში კორონავირუსის გავრცელების კრიტიკულად მაღალი დონის მთავარ მიზეზებად აღინიშნა შემდეგი ფაქტორები:

1) ნოტიო და თბილი კლიმატი ხელსაყრელია ვირუსებისთვის;

2) ტურისტული ნაკადების მაღალი ინტენსივობა ამ ნამდვილად ულამაზეს ქვეყანაში;

3) შეიძლება ითქვას, ამ ზედმეტად სტუმართმოყვარე ხალხის ტემპერამენტული ფსიქოლოგია;

4) მრავალი უნიკალური შენობის უძველესი ხუროთმოძღვრება, რომლის შენარჩუნება დიდ ძალისხმევას მოითხოვს (აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა);

5) მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ავტომაგისტრალების გზაჯვარედინი;

6) ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების შედარებით დაბალი ფასები, რაც მიგრანტების მასობრივ შემოსვლას იწვევს.

ინფორმაციული, ფიზიკური და ბიოფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებამ, მათ შორის ეკონომიკური კონკურენციის გაანგარიშების „მოკლე ჩართვის“ ეფექტმა, დაადასტურა ჩვენი წარსული კვლევები, რომ ბაზარი არ უნდა დაექვემდებაროს ე.წ. „ზედმეტად მრავალრიცხოვანი ჭიანჭველების აგრესიულ მოძრაობას“, რასაც უდავოდ სჭირდება შეზღუდვა საყოველთაო ეკონომიკური ძალისხმევით, ინფლაციის ნორმალიზების მექანიზმები და მტაცებლური კრიმინალური მონოპოლიების ფასების შემცირების წინააღმდეგ მონიტორინგი.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო სატრანსპორტო მაგისტრალები, შედარებით დაბალი ფასები, ეკონომიკური მექანიზმები.